# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 249(6839) 16 დეკემბერი 2022 წ. პარასკევი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესის ოცნების ასრულება, თუ მბაპეს დუბლი? კვირას მსოფლიოს ჩემპიონატის დიდი ფინალია!





არგენტინა VS საფრანგეთი (19:00)

2 გვ.

## ლიონელ მესი: რეკორდები კარგია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური წარმატება უფრო მნიშვნელოვანია

ლეო Goal.com-ის ვერსიით მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელთა რეიტინგს ლიდერობს



3 გვ.

## დიდიე დეშამი: ვეცდებით, მესის გავლენა მაქსიმალურად შევზღუდოთ



4 გვ.

## As: რეალმა ბენზემას ფინალის წინ საფრანგეთის ნაკრებში წასვლის უფლება მისცა

დეშამმა ფინალში ქარიმის შესაძლო თამაშზე შეკითხვას არ უპასუხა



7 გვ.

## ტონი კროოსი: უსამართლობა იქნება, თუ მესისნაირი კარიერა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით არ დაგვირგვინდება

...მოდრიჩს ის მსაჯი ცუდად ახსოვს, მაგრამ ჩემი აზრით, პენალტი იყო...




5 გვ.

## მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა ფინალი, ჩემპიონები, ბომბარდირები

იხილეთ მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესის ოცნების ასრულება, თუ მბაპეს დუბლი? კვირას მსოფლიოს ჩემპიონატის დიდი ფინალია!



მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ისტორიაში პირველად ჩატარდა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში და ძალზე საინტერესო გამოვიდა, დასასრულს უახლოვდება. კატარში 2 მატჩიღა დარჩა გასამართი. ხვალ მესამე ადგილისთვის ხორვატია და მაროკო ითამაშებენ, კვირას კი, არგენტინასა და საფრანგეთს შორის ისტორიული ფინალი შედგება. ორივე მატჩი ჩვენი დროით 19:00 საათზე დაიწყება.

ცხადია, არგენტინა და საფრანგეთი დიდი საფეხბურთო ქვეყნებია, წარმოუდგენელი ტრადიციებით და მათ შორის ნებისმიერი მატჩი დიდი მოვლენაა. მით უმეტეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. თუმცა, ამ ფინალს ისტორიულად მაინც **ლიონელ მესის** ფაქტორი აქცევს. დიად არგენტინელს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა, შანსი აქვს, მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის უკანასკნელ მატჩში ოცნება აიხდინოს და ტიტული მოიპოვოს. ეს იქნება ზღაპრული, საახალწლო, საშობაო, იდეალური მოვლენა მისთვის და ალბათ, ფეხბურთისთვისაც. თვით ლეოს მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც კი ბევრი აღიარებს, რომ არგენტინელმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ალალად დაიმსახურა. თუმცა, საფრანგეთს სხვა გეგმები აქვს. „სამფეროვნებს" მსოფლიოს ჩემპიონატის ზედიზედ მეორედ მოგების შანსი გააჩნიათ. ამ გუნდის 23 წლის ვარსკვლავი **კილიან მბაპე**, რომელიც 12 წლით უმცროსია პსჟ-ში თავის პარტნიორ მესიზე, ისტორიული დუბლის შესრულებასთანაა ახლოს. მათ შორის დუელი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისთვის და საუკეთესო ფეხბურთელობისთვისაც მიდის. ამ მომენტში ორივეს 5-5 გოლი აქვს გატანილი.

არგენტინა და საფრანგეთი ტურნირის სტარტამდეც მოიაზრებოდნენ მთავარ ფავორიტთა შორის და მთელი რიგი სენსაციებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც ისე მოხდა, რომ მუნდიალი ლოგიკურად სრულდება გრანდების ჯახით.

საფრანგეთი და არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეოთხედ შეხვდებიან. 1930 წელს არგენტინამ 1:0 მოიგო, 1978-ში 2:1, ხოლო 2018 წელს საფრანგეთმა მერვედფინალში 4:3 გაიმარჯვა. მთლიანობაში გუნდები ერთმანეთს 13-ჯერ შეხვდნენ და არგენტინას უპირატესობა აქვს. სამხრეთამერიკელებმა 7 მატჩი მოიგეს, 3 წააგეს და 3 შეხვედრაც ფრედ დასრულდა. საფრანგეთი გახდა პირველი ნაკრები 2002 წლის შემდეგ, რომელიც ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. უკანასკნელად 2 ტიტული პელეს ბრაზილიამ მოიგო 60 წლის წინ, 1958 და 1962 წლებში. მანამდე კი, იგივე შეძლო იტალიამ 1934 და 1938 წლებში.

ასეთ მატჩებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. კვირას ერთ-ერთი გუნდი ერთპიროვნულად დაიკავებს მეოთხე ადგილს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველაზე ტიტულოვანთა რეიტინგში. არგენტინამ თავისი ოქრო 1978 და 1986 წლებში მოიგო, ხოლო საფრანგეთმა 1998 და 2018 წლებში. რეკორდსმენი ბრაზილიაა 5 ტიტულით. შემდეგ მოდიან გერმანია და იტალია (4-4).

კატარში ამ გუნდებმა თითო მარცხი განიცადეს. არგენტინამ სენსაციურად წააგო პირველ ტურში საუდის არაბეთთან 1:2, მაგრამ შემდეგ მუდმივად უმატებდა. ჯგუფში მესის გუნდმა მექსიკას და პოლონეთს ერთნაირი ანგარიშით, 2:0 სძლია. მერვედფინალში ავსტრალია 2:1 დაამარცხა, მეოთხედფინალში, ნიდერლანდებს პენალტების სერიაში სძლია (2:2, 4:3პენ.), ნახევარფინალში კი, ხორვატიას - 3:0.

საფრანგეთმა ჯგუფში ავსტრალიის 4:1 განადგურებით დაიწყო, შემდეგ დანიას 2:1 მოუგო, პლეი-ოფი გაინაღდა, ტუნისთან მოდუნდა და 0:1 დამარცხდა. **დიდიე დეშამის** გუნდი მერვედფინალში პოლონეთს შეხვდა და 3:1 დაამარცხა, შემდეგ იყო ინგლისთან მძიმე მატჩში 2:1 გამარჯვება. ნახევარფინალში კი, ფრანგებმა მაროკო 2:0 დაამარცხეს.

მაშ ასე: არგენტინას აქვს შანსი 36 წლის შემდეგ ალმართოს მსოფლიოს თასი. მაშინ „ალბისელესტე" ტრიუმფამდე გენიალურმა **დიეგო მარადონამ** მიიყვანა. მესი ძალზე ახლოს იყო იგივეს გაკეთებასთან 2014 წელს, მაგრამ ფინალში არგენტინა გერმანიასთან 0:1 დამარცხდა. ახლა, დიეგოს გზის გავლის მეორე შანსია ლეოსთვის და თუ ის ამას შეძლებს, არგენტინას 2 ღმერთი ეყოლება.

ცხადია, ძალზე რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ განვითარდება ფინალში მოვლენები, რამდენადაც ფინალებს საკუთარი კანონები აქვს და პროგნოზები ხშირად არ მართლდება. აშკარაა, რომ არგენტინამ მუნდიალის მსვლელობისას ძალიან მოუმატა და არა მარტო კონკრეტულად მესის ხარჯზე, არამედ როგორც გუნდმა. ტურნირის სტარტის შემდეგ, **ლიონელ სკალონიმ** შეძლო და გაუმკლავდა უდიდეს კრიტიკასა და წნეხს, დაალაგა თავისი გუნდის თამაში და არგენტინა ყველა რგოლში საუცხოოდ გამოიყურება. თავდასხმაში გაიხსნა **ხულიან ალვარესი**, რომელმაც მესისთან საერთო ენის გამოძებნა შეძლო და ძალზე სახიფათო ფიგურა გახდა. **დე პაული, მაკ ალისტერი** და სხვები ძალზე აგრესიულად და მძლავრად იბრძვიან ცენტრში. ბევრი თვლის, რომ არგენტინის წარმატების გასაღები ფინალში სწორედ მისი აგრესიული თამაში უნდა გახდეს. მათ არც აქვთ უფლება, ამოსუნთქვის საშუალება მისცენ მბაპეს, დათმონ სივრცეები ფრანგთა სწრაფი კონტრშეტევებისთვის.

თავის მხრივ, საფრანგეთს დადებითი დინამიკა არც ისე ეტყობოდა. ფრანგებმა 6-დან 5 მატჩში გაუშვეს გოლი, ხოლო თავის ერთადერთ მშრალ მატჩში, მაროკოს საკუთარ კართან იმდენი ხიფათის შექმნის უფლება მისცეს, რომ უფრო მაღალი კლასის გუნდისგან დაისჯებოდნენ. ცხადია, ამ კონკრეტულ მატჩზე **ადრიენ რაბიოსა და უპამეკანოს** მოულოდნელი დაკარგვა აისახა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ჯერჯერობით, დეშამის გუნდი თავდასხმაში უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე დაცვაში. აუცილებლად ხაზგასასმელია **ანტუან გრიზმანის** საუცხოო თამაში. ის ახლა სულ სხვა როლს ასრულებს, ეხმარება დაცვას და აკავშირებს რგოლებს, თამაშობს ჩამშლელს.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მეკარეებზე. **უგო ლორისი** და **ემილიანო მარტინესი** შესანიშნავები არიან, მაგრამ თვით ფრანგებმაც კარგად იციან, რომ საქმის პენალტების სერიამდე მიყვანა არ ღირს, რამდენადაც მარტინესი ამ კომპონენტში ბრწყინვალეა.

## საფრანგეთის ნაკრებში ვირუსის გავრცელებაზე ეჭვობენ

საფრანგეთის ნაკრებში არგენტინასთან ფინალის წინ ვირუსის გავრცელებაზე ეჭვის გამო უსაფრთხოების ზომებს იღებენ. ავადმყოფობის გამო, გუნდს ადრიენ რაბიო, დაიო უპამეკანო და კინგსლი კომანი გამოაკლდნენ. მაროკოსთან მატჩი სამივემ შეუძლოდ ყოფნის მიზეზით გამოტოვა.

როგორც გუნდის თავკაცმა დიდიე დეშამმა აღნიშნა, ბიჭებს ტემპერატურა აქვთ და ნაკრებში სიფრთხილეს იჩენენ. ეს შეიძლება ვირუსი იყოს.

ჯერჯერობით, ნაკრებს რომელიმე სხვა ფეხბურთელი არ გამოკლებია და სავარაუდოდ, ფრანგები მშვიდობიანად მიაღწევენ ფინალამდე თუმცა, მდგომარეობა ამ მომენტისთვის მაინც საყურადღებოა.

# ლიონელ მესი: რეკორდები კარგია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური წარმატება უფრო მნიშვნელოვანია

## ლეო Goal.com-ის ვერსიით მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელთა რეიტინგს ლიდერობს

არგენტინის ნაკრების კაპიტანმა ლიონელ მესიმ გუნდური წარმატების მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ხორვატიასთან ნახევარფინალში (1:0) გატანილი გოლი ლეოსთვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მე-11 აღმოჩნდა. ამრიგად, მან გაბრიელ ბატისტუტას გადაასწრო და მუნდიალებზე არგენტინის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

— რეკორდები კარგია, მაგრამ გუნდური წარმატების მოპოვება უფრო მნიშვნელოვანია. ეს ყველაზე მშვენიერი მიზანია. ხანგრძლივი მძიმე სამუშაოს შემდეგ, მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა გვრჩება გადასადგმელი. არგენტინა გააკეთებს მაქსიმუმს, რათა ამჯერად ყველაფერი გამოგვივიდეს, — განაცხადა მესიმ.

როგორც ESPN-ის ჟურნალისტი გუსტავო იაროში იუწყება, იმის მიუხედავად, რომ არგენტინის ნაკრებს დასვენების დღე ჰქონდა, მესი ეროვნული გუნდის განკარგულებაში დარჩა. ნაკრების თავკაცმა ლიონელ სკალონიმ შეგირდები დაასვენა და არგენტინელთა უმრავლესობამ დრო ბანაკს გარეთ, ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან გაატარა. მესიმ არგენტინის ნაკრების ბაზაზე დარჩენა ამჯობინა და ოჯახს იქ შეხვდა.

გამოცემა Goal.com-მა მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა ტოპ-ათეულის საკუთარი ვერსია განაახლა. სიას მესი ლიდერობს.

1. ლიონელ მესი (არგენტინა), 2. კილიან მბაპე (საფრანგეთი), 3. ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი), 4. სოფიან ამრაბატი (მაროკო), 5. აშრაფ ჰაკიმი (მაროკო), 6. ნიკოლას ოტამენდი (არგენტინა), 7. ხულიან ალვარესი (არგენტინა), 8. ოლივიე ჟირუ (საფრანგეთი), 9. ბრუნო ფერნანდეში (პორტუგალია), 10. რიშარლისონი (ბრაზილია).

წინა რეიტინგისგან განსხვავებით, ათეულში შევიდნენ ოტამენდი, ალვარესი და ჟირუ. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის ამ ათეულის 8 ფეხბურთელი იბრძოლებს.



მესიმ ნაკრების გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა. როგორც ჩანს, ის მცირე პრობლემებს უჩივის, თუმცა, ფინალში აუცილებლად ითამაშებს.

# რიო ფერდინანდი: მესისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაფერი დალაგდა - მას შეუძლია მარადონას გაუტოლდეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა მცველმა, ექსპერტმა რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, ლიონელ მესი თავის ლეგენდარულ თანამემამულე დიეგო მარადონას გაუტოლდება.

— მესისთვის ყველაფერი დალაგდა ამ ტურნირზე. როდესაც ისმის შეკითხვა, ვინ უფრო უკეთესია, მარადონა თუ მესი, ხალხი პასუხობს, რომ ლეოს მსოფლიოს ჩემპიონატი არ მოუგია. ახლა, სწორედ მისი დრო დადგა, — განაცხადა ფერდინანდმა.



## ნიდერლანდები

*I დივიზიონი*

| | |
|---|---|
| იონგ პსვ-იონგ აიაქსი | 2:2(0:1) |

## პორტუგალია

*ლიგის თასი*

| | |
|---|---|
| აკადემიკო-ტონდელა | 4:1(2:0) |
| ეშტორილი-ფამალიკაო | 0:1(0:1) |

## რუმინეთი

*I ლიგა*

| | |
|---|---|
| სტიაუა-ცფრ კლუჟი | 0:1(0:0) |

## შოტლანდია

*პრემიერშიპი*

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 3:2(1:2) |

## კვიპროსი

*I დივიზიონი*

| | |
|---|---|
| აპოლონი-დოქსა | 1:0(1:0) |
| პარალიმნი-აელ | 0:1(0:1) |

## საბერძნეთი

*თასი*

| | |
|---|---|
| პანატინაიკოსი-ვოლოსი | 3:0(1:0) |
| ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი | 4:1(1:1) |
| კიფისასი-აეკ | 0:2(0:2) |

## ალბანეთი

*სუპერლიგა*

| | |
|---|---|
| ლაჩი-ერზენი | 1:0(1:0) |
| პარტიზანი-კუკესი | 2:1(2:0) |

## აზერბაიჯანი

*პრემიერლიგა*

| | |
|---|---|
| ტურანი-ნეფთჩი | 0:1(0:0) |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| იტალია(16)-ავსტრია(16) | 0:4(0:3) |
| სევილია-ვოლენდამი | 7:0(5:0) |
| ბურგოსი-ბილბაო | 0:3(0:1) |
| ასტონ ვილა-ვილიარეალი | 0:1(0:0) |

## კალათბურთი

*NBA*

| | |
|---|---|
| შარლოტი-დეტროიტი | 134:141დდ |
| ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 125:119 |
| ორლანდო-ატლანტა | 135:124 |
| ჩიკაგო-ნიუ იორკი | 120:128დდ |
| ტორონტო-საკრამენტო | 123:124 |
| ოკლაჰომა-მაიამი | 108:110 |
| სან ანტონიო-პორტლენდი | 112:128 |
| დალასი-კლივლენდი | 90:105 |
| დენვერი-ვაშინგტონი | 141:128 |
| კლიპერსი-მინესოტა | 99:88 |

*ევროლიგა*

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-მილანო | 67:71 |
| ჟალგირისი-რეალი | 81:72 |
| ბაიერნი-ვალენსია | 97:92 |
| ლიონი-ოლიმპიაკოსი | 77:75 |

*სატურნირო მდგომარეობა:*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 13 | 10 | 3 | 1111:1008 |
| ბარსელონა | 13 | 9 | 4 | 1034:986 |
| მონაკო | 13 | 9 | 4 | 1055:1029 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 9 | 5 | 1210:1085 |
| რეალი | 14 | 9 | 5 | 1159:1091 |
| ბასკონია | 13 | 8 | 5 | 1104:1045 |
| ეფესი | 13 | 7 | 6 | 1072:1001 |
| მაკაბი თ.ვ. | 13 | 7 | 6 | 1068:1070 |
| ჟალგირისი | 14 | 7 | 7 | 1066:1102 |
| ცრ.ზვეზდა | 13 | 7 | 7 | 1017:1064 |
| პანათინაიკოსი | 13 | 6 | 7 | 1018:1046 |
| ვალენსია | 14 | 6 | 8 | 1111:1165 |
| ლიონი | 14 | 6 | 8 | 1035:1093 |
| ვირტუსი | 13 | 5 | 8 | 972:1034 |
| ბაიერნი | 14 | 5 | 9 | 1048:1103 |
| პარტიზანი | 13 | 4 | 9 | 1079:1106 |
| მილანო | 14 | 4 | 10 | 955:1036 |
| ალბა | 13 | 3 | 10 | 1029:1079 |

*საბერძნეთის თასი*

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-ირაკლისი | 83:73 |
| ფეა ფილადელფია-პაპაგოუ | 89:77 |

## ჰოკეი

*NHL*

| | |
|---|---|
| ოტავა-მონრეალი | 3:2 |
| მინესოტა-დეტროიტი | 4:1 |
| კალგარი-ვანკუვერი | 3:4ვ. |

*Swiss Ice Hockey Games*

| | |
|---|---|
| ფინეთი-ჩეხეთი | 2:3 |
| შვედეთი-შვეიცარია | 3:2დ.დ. |

*გერმანია*

| | |
|---|---|
| ფრანკფურტი-ვოლფსბურგი | 4:5პენ. |

*შვედეთი*

| | |
|---|---|
| როგლე-ტიმრა | 6:1 |

*International Tournament (France)*

| | |
|---|---|
| უკრაინა-საფრანგეთი | 0:3 |

*International Tournament (Slovakia)*

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ნორვეგია | 6:0 |

# მამუკელაშვილი G ლიგაში დაბრუნდა, ბითაძეს არ უთამაშია

„მილუოკი ბაქსმა" **სანდრო მამუკელაშვილი** კვლავ განვითარების G ლიგაში გაუშვა, სადაც „ვისკონსინ ჰერდის" რიგებში „ფორტ ვეინთან" ითამაშა (110:128). ქართველი სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე გატარებულ 22 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება დააგროვა. მან 5-დან 3 ორქულიანი გამოიყენა.

„ვისკონსინი" 6 მოგებით და 9 მარცხით ცენტრალურ დივიზიონში მე-6 ადგილზეა და შემდეგ მატჩს ხვალ, კვლავ „ფორტ ვეინთან" ჩაატარებს.

**გოგა ბითაძის** „ინდიანა პეისერსმა" „გოლდენ სტეიტ უორიორზს" უმასპინძლა და 125:119 დაამარცხა. ქართველი ცენტრი განაცხადში იყო, მაგრამ პარკეტზე არ გასულა. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე „გოლდენ სტეიტის" გამთამაშებელი სტეფ კარი გახდა, რომელმაც მასპინძლებს 29:33 წუთში 38 ქულა ჩაუგდო. „ინდიანა" დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზეა და ხვალ, „კლივლენდ კავალიერსს" ესტუმრება.

## დიდიე დეშამი: ვეცდებით, მესის გავლენა მაქსიმალურად შევზღუდოთ

**ანტუან გრიზმანი: როდესაც გუნდში ლეოა, ეს სულ სხვა საკითხია**

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა და ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არგენტინასთან დაპირისპირების წინ, ლიონელ მესის ფაქტორზე გაამახვილეს ყურადღება.

შეგახსენებთ, რომ დეშამის დარიგებულმა საფრანგეთმა მესის არგენტინა მსოფლიო-2018-ის მერვედფინალში 4:3 დაამარცხა. თუმცა, ფრანგი სპეციალისტი თვლის, რომ ახლანდელი არგენტინის ნაკრები გაცილებით ძლიერია.

***დიდიე დეშამი:*** მიმდინარე ტურნირზე მესი თავიდანვე შესანიშნავი იყო. რა თქმა უნდა, ამ 4 წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა. 4 წლის წინ მან ჩვენ წინააღმდეგ ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშა. ახლა, ის უფრო ფორვარდთან წყვილში თამაშობს და მეტი თავისუფლება აქვს. ხშირად ურტყამს კარში. ის ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთელია, საუცხოო დრიბლინგს ფლობს. ვეცდებით მაქსიმალურად შევზღუდოთ მესის გავლენა. სწორედ იგივეს გაკეთებას შეეცდებიან ისინი ჩვენ რამდენიმე ფეხბურთელთან მიმართებაში.

***ანტუან გრიზმანი:*** როდესაც გუნდში ლეოა, ეს სულ სხვა საკითხია. ჩვენ თითქმის ყველა მატჩი ვნახეთ, ვიცით როგორ თამაშობენ. არგენტინა ძალზე რთული გუნდია და ისინი საუცხოო ფორმაში არიან. ეს შემადგენლობა ჩვენსავით მიქრის წინ. რთული მატჩი იქნება. მათი გულშემატკივრები ძალიან იაქტიურებენ. საფრანგეთი საკუთარ გეგმაზე იმუშავებს.



## მბაპემ ჰაკიმი დაამშვიდა: ნუ განიცდი ძმაო, შენ ისტორიაში შეხვედი

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კილიან მბაპემ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალის შემდეგ, მაროკოს ეროვნული გუნდის მცველი და პსჟ-ში თავის თანაგუნდელ აშრაფ ჰაკიმი დაამშვიდა.

— ნუ განიცდი, ძმაო. ყველა ამაყობს იმით, რაც გააკეთე. შენ ისტორიაში შეხვედი,— დაწერა მბაპემ „ტვიტერზე".

კილიანი, მატჩის შემდეგაც ესაუბრებოდა ჰაკიმის. მათ მაისურები გაცვალეს.

## მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა ფინალი

1930 წელი ურუგვაი
**ურუგვაი 4:2 არგენტინა**

1934 წელი იტალია
**იტალია 1:1(1:0დდ) ჩეხოსლოვაკია**

1938 წელი ურუგვაი
**იტალია 4:2 უნგრეთი**

1950 წელი ბრაზილია
**ურუგვაი 2:1 ბრაზილია**

1954 წელი შვეიცარია
**გერმანია 3:2 უნგრეთი**

1958 წელი შვედეთი
**ბრაზილია 5:2 შვედეთი**

1962 წელი ჩილე
**ბრაზილია 3:1 ჩეხოსლოვაკია**

1966 წელი ინგლისი
**ინგლისი 2:2(2:0დდ) გერმანია**

1970 წელი მექსიკა
**ბრაზილია 4:1 იტალია**

1974 წელი გერმანია
**გერმანია 2:1 ნიდერლანდები**

1978 წელი არგენტინა
**არგენტინა 1:1(2:0დდ) ნიდერლანდ.**

1982 წელი ესპანეთი
**იტალია 3:1 გერმანია**

1986 წელი მექსიკა
**არგენტინა 3:2 გერმანია**

1990 წელი იტალია
**გერმანია 1:0 არგენტინა**

1994 წელი აშშ
**ბრაზილია 0:0(3:2პ) იტალია**

1998 წელი საფრანგეთი
**საფრანგეთი 3:0 ბრაზილია**

2002 წელი კორეა/იაპონია
**ბრაზილია 2:0 გერმანია**

2006 წელი გერმანია
**იტალია 1:1(5:3პ.) საფრანგეთი**

2010 წელი სამხ.აფრიკა
**ესპანეთი 0:0(1:0დდ) ნიდერლან.**

2014 წელი ბრაზილია
**გერმანია 0:0(1:0დდ) არგენტინა**

2018 წელი რუსეთი
**საფრანგეთი 4:2 ხორვატია**

2022 წელი კატარი
**საფრანგეთი VS არგენტინა**

### ჩემპიონი:

ბრაზილია: 5(1958, 1962, 1970, 1994, 2002)
გერმანია: 4(1954, 1974, 1990, 2014)
იტალია: 4(1934, 1938, 1982, 2006)
არგენტინა: 2(1978, 1986)
საფრანგეთი: 2(1998, 2018)
ურუგვაი: 2(1930, 1950)
ინგლისი: 1(1966)
ესპანეთი: 1(2010)

### ბომბარდირები:

1930 წ. გილერმო სტაბილი(არგ.)-8 გოლი
1934 წ. ოლდრიხ ნეიედლი(ჩეხ.)-5 გოლი
1938 წ. ლეონიდასი(ბრაზ.)-7 გოლი
1950 წ. ადემირი(ბრაზ.)-8 გოლი
1954 წ. სანდორ კოჩსისი(უნგ.)-11 გოლი
1958 წ. ჟუსტ ფონტანი(საფრ.)-13 გოლი
1962 წ. ფლორიან ალბერტი(უნგ.); ვალენტინ ივანოვი(სსრკ); გარინჩა(ბრაზ.); ვავა(ბრაზ.); დრაჟენ იერკოვიჩი(იუგ.); ლეონელ სანჩესი(ჩილე)-4 გოლი
1966 წ. ეუსებიო(პორტ.)-9 გოლი
1970 წ. გერდ მიულერი(გერ.)-10 გოლი
1974 წ. გჟეგორ ლიატო(პოლ.)-7 გოლი
1978 წ. მარიო კემპესი(არგ.)-6 გოლი
1982 წ. პაოლო როსი(იტ.)-6 გოლი
1986 წ. გარი ლინეკერი(ინგ.)-6 გოლი
1990 წ. სალვატორე სკილაჩი(იტ.)-6 გოლი
1994 წ. ოლეგ სალენკო(რუს.); ხრისტო სტოიჩკოვი(ბულგ.)-6
1998 წ. დავორ შუკერი(ხორვ.)-6 გოლი
2002 წ. რონალდო(ბრაზ.)-8 გოლი
2006 წ. მიროსლავ კლოზე(გერ.)-5 გოლი
2010 წ. ტომას მიულერი(გერ.)-5 გოლი
2014 წ. ხამეს როდრიგესი(კოლ.)-6 გოლი
2018 წ. ჰარი კეინი(ინგ.)-6 გოლი

### ბომბარდირები ჯამში:

მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 16 გოლი
რონალდო (ბრაზილია) - 15 გოლი
გერდ მიულერი(გერმანია) - 14 გოლი
ჟუსტ ფონტანი (საფრანგეთი) - 13 გოლი
პელე (საფრანგეთი) - 12 გოლი
იურგენ კლინსმანი (გერმანია) - 11 გოლი
სანდორ კოჩსისი (უნგრეთი) - 11 გოლი
ლიონელ მესი (არგენტინა) - 11 გოლი
გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) - 10 გოლი
თეოფილო გუბილასი (პერუ) - 10 გოლი
გჟეგორ ლიატო (პოლონეთი) - 10 გოლი
გარი ლინეკერი (ინგლისი) - 10 გოლი
გარი ლინეკერი (ინგლისი) - 10 გოლი
ტომას მიულერი (გერმანია) - 10 გოლი
ჰელმუტ რანი (გერმანია) - 10 გოლი

## ტონი კროოსი: უსამართლობა იქნება, თუ მესისნაირი კარიერა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით არ დაგვირგვინდება

### ...მოდრიჩს ის მსაჯი ცუდად ახსოვს, მაგრამ ჩემი აზრით, პენალტი იყო...

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ტონი კროოსი მიიჩნევს, რომ ლიონელ მესი მსოფლიო-2022-ზე გამარჯვებას იმსახურებს.

— ვის ვუქომაგებ ფინალში? თუ პირად მოტივაციებზე ვისაუბრებთ, საფრანგეთის ნაკრებში ჩემი ორი თანაკლუბელი თამაშობს. მეორე მხრივ, გულწრფელი უნდა ვიყო: უსამართლობა იქნება, თუ ისეთი კარიერა, როგორიც მესის აქვს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით არ დაგვირგვინდება, — აღნიშნა კროოსმა.

გერმანელმა ფეხბურთელმა „რეალში“ თავის თანაგუნდელზე, ხორვატიის ნაკრების კაპიტან ლუკა მოდრიჩზეც ისაუბრა. კერძოდ კი, კროოსი თვლის, რომ არგენტინა-ხორვატიის მატჩში მოდრიჩის გუნდის კარში პენალტი უნდა დანიშნულიყო.

— ვიცი, რომ ლუკამ მსაჯი მკაცრად გააკრიტიკა. ის არა მარტო ძალზე მშვიდი ადამიანია, არამედ რეალისტიცაა. მან თქვა, რომ ამ მსაჯთან ცუდი გამოცდილება აქვს. ეს არანაირად უკავშირდება პენალტის. ჩემი აზრით, იქ პენალტი იყო და მსაჯის ეს გადაწყვეტილება შეცდომად არ უნდა ჩაითვალოს. მოდრიჩისთვის ჯერ არაფერი მიმიწერია. ვიცი, რომ ასეთი მატჩების შემდეგ 2 ათას შეტყობინებას იღებ და შემდეგ არ შეგიძლია უპასუხო. უმჯობესია მაშინ დავუკავშირდე, როდესაც ყველაფერი დაწყნარდება. მესამე ადგილისთვის მატჩში წარმატება მინდა ვუსურვო, — ამბობს კროოსი.



## მბაპეს მუნდიალზე საშუალოდ მატჩში 0.19 დაცვითი მოქმედება აქვს, რაც ტურნირის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია

### კილიანი ტურნირზე დრიბლინგებში ლიდერია

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი კილიან მბაპე გუნდის დაცვით მოქმედებებში თითქმის არ მონაწილეობს.

„ოპტა სპორტის“ სტატისტიკის მიხედვით, კილიანი მუნდიალზე საშუალოდ მატჩში 0,19 დაცვით მოქმედებას ასრულებს 90 წუთის განმავლობაში. ანუ 477 წუთში 1-ს. საუბარია ართმევებზე (მათ შორის თამაშის წესების დარღვევით. რედ.), დაბლოკილ დარტყმებზე, საჯარიმოდან ბურთის გამოტანაზე და ჩაჭრებზე.



ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდვრის ყველა იმ ფეხბურთელს შორის, რომლებმაც კატარში მინიმუმ 150 წუთი მაინც ითამაშეს.

პარალელურად Statman Dave წერს, რომ მბაპე მიმდინარე მუნდიალზე დრიბლინგების რაოდენობით ლიდერია. ის მეტოქეებს 21-ჯერ გაცდა.

## თეო ერნანდესი: მესი საშიში არ არის, მაგრამ არგენტინა საოცარი გუნდია

საფრანგეთის ნაკრების მცველმა თეო ერნანდესმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არგენტინასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა:

— მაროკო ძალზე ძლიერი იყო, მაგრამ გავიმარჯვეთ და ახლა ფინალი გველის. წარმოუდგენელი თვე გვქონდა და ბევრი ვიშრომეთ, რათა ამ მიზნისთვის მიგვეღწია. აღდგენა უნდა მოვასწროთ, რომ ფინალისთვის 100%-ით მზად ვიყოთ...

— საშიშია თუ არა მესი? არა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არგენტინა საოცარი გუნდია და მაქსიმალურად დახარჯვა დაგვჭირდება, — განაცხადა ერნანდესმა.



## ფერნანდო სანტუში პორტუგალიის ნაკრებიდან გაუშვეს

ფერნანდო სანტუში პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა.

68 წლის სანტუშმა პორტუგალია 2014 წელს ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით ნაკრები 2016 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 2019 წელს კი, ევროპის ერთა თასის გამარჯვებული. მსოფლიო 2022-ზე პორტუგალიელები მეოთხედფინალში მაროკოსთან სენსაციურად 0:1 დამარცხდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის სანტუშს. ერთ-ერთ კანდიდატად ჟოზე მაურინიოს ასახელებენ.



## ჯონ ტერი საფრანგეთზე: მათგან გაცილებით მეტს ველოდი, მაროკო უკეთესი იყო

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მცველმა ჯონ ტერიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთსა და მაროკოს შორის ნახევარფინალური მატჩი (2:0) შეაფასა.



— საფრანგეთმა გამარჯვების გზას მიაგნო. თუმცა, მათი ფეხბურთელების სიძლიერის გათვალისწინებით, მათგან გაცილებით მეტს ველოდი. ჩემი აზრით, 90 წუთის განმავლობაში მაროკოელები უკეთ გამოიყურებოდნენ, — აღნიშნა ტერიმ.

## ზიეჩმა მუნდიალზე გამომუშავებული 325 ათასი დოლარი მაროკოში გაჭირვებულთა დასახმარებლად გადარიცხა

მაროკოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჰაკიმ ზიეჩმა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის მიღებული საპრიზო თანხა ქველმოქმედებისკენ მიმართა.

როგორც მაროკოელი ჟურნალისტი ჰალედ ბეიდუნი იუწყება, „ჩელსის“ ნახევარმცველმა 325 ათასი დოლარი თავის ქვეყანაში სიღარიბეში მყოფთა დასახმარებლად გადარიცხა.

ზიეჩი ეროვნულ გუნდში თამაშისთვის ფულს 2015 წლიდან არ იღებს და მაროკოში გაჭირვებულებს ეხმარება.



## დიდიე დროგბა: არგენტინელები ძალზე აგრესიულები არიან და მბაპეს თავისი ფეხბურთის თამაშს არ დაანებებენ

ლონდონის „ჩელსისა“ და კოტდივუარის ნაკრების ლეგენდარულმა ფორვარდმა დიდიე დროგბამ არგენტინასა და საფრანგეთს შორის გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალთან დაკავშირებით საკუთარი ვარაუდი გამოთქვა:

– არგენტინელებმა კარგად იციან, რომ ფრანგებს ფეხებში ჩარტყმა ძალიან ალიზიანებთ. არგენტინელები ძალზე აგრესიულები არიან და ისინი მბაპეს თავისი ფეხბურთის დემონსტრირების უფლებას არ მისცემენ. ისინი ყველა მეთოდით შეეცდებიან მის დაბლოკვას და შეჩერებას. თუმცა, საფრანგეთს შემადგენლობაში ასევე ჰყავს ჩუამენი, გრიზმანი და დემბელე. მათი შეჩერებაც აუცილებელია, – განაცხადა დროგბამ.



## კლაუდიო რანიერი: მესი არის ჩემპიონი, რომელიც ისტორიას წერს

### მბაპე თავისი სისწრაფით რონალდუს ჰგავს



ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა კლაუდიო რანიერიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიონელ მესისა და კილიან მბაპეს თამაში შეაფასა და მოახლოებულ ფინალზე ისაუბრა.

– არგენტინა-საფრანგეთის ფინალი, არა მარტო მესისა და მბაპეს დაპირისპირებაა. ეს ორ ნამდვილ გუნდს შორის მატჩია. საფრანგეთმა მოახერხა ისეთი ფეხბურთელების არყოფნის კომპენსირება, როგორებიც არიან პოგბა, კანტე და ბენზემა. შეხედეთ, როგორ თამაშობს ჟირუ, როგორ ეხმარება დაცვას. გრიზმანი და ჩუამენიც კარგად თამაშობენ. ცხადია, არის მბაპე, რომელიც ისეთი სისწრაფით მიქრის, რომ მისი შემჩერებელი არავინაა. ალბათ ის ყველაზე მეტად ჰგავს რონალდუს, თავისი ტექნიკისა და სისწრაფის წყალობით. არგენტინასაც გააჩნია კლასი და ტექნიკა, მაგრამ ისინი უფრო მეტად მისდევენ მწვრთნელის მითითებებს, რასაც შედეგი მოაქვს...

– მესი არასდროს ყოფილა ასეთი მიზანსწრაფული. მოედანზე ლიდერობის გარდა, მან თავისი ქარიზმაც აჩვენა. მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თანაგუნდელებს ისეთი პასებით პოულობს, რომელსაც ვერავინ ხედავს. გააქვს ექსტრაორდინარული გოლები. ის ჩემპიონია, რომელიც ისტორიას წერს...

– პროგნოზი ფინალისთვის? რთულია ასეთი მატჩის პროგნოზირება. იმედი მაქვს, რომ მასში ნაკლები ტაქტიკა და მეტი სანახაობა იქნება. ორი დიადი ფეხბურთელი იწვევს ერთმანეთს და მთელი მსოფლიო დააკვირდება ამას. თუმცა, მსურს ვთქვა, რომ მეტი შანსი იმ გუნდს ექნება, რომელიც ინიციატივას დაეუფლება, – ამბობს რანიერი.

## პირს მორგანმა განმარტა, თუ რატომაა მისი აზრით რონალდუ მესიზე უკეთესი

ინგლისელმა სპორტულმა ჟურნალისტმა და კრიშტიანო რონალდუს თავგადაკლულმა ფანმა პირს მორგანმა განმარტა, თუ რატომაა მისი აზრით პორტუგალიელი ლიონელ მესიზე უკეთესი ფეხბურთელი.

– მესი დაუჯერებლად თამაშობს მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე. ის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა. თუმცა, საკითხავია, არის კი ის უდიადესი? ამ საკითხში ყოველთვის რონალდუს მივემხრობი და მიმაჩნია, რომ კრიშტიანო იმსახურებს ამ წოდებას. თვით მსოფლიოს ჩემპიონობაც ვერ გადააქცევს მესის ყველა დროის საუკეთესოდ...

– როდესაც რონალდუს სტატისტიკას უყურებ, უნდა გვახსოვდეს, რომ ლეო 17 წლის განმავლობაში არ ძვრებოდა „ბარსელონას“ კომფორტის ზონიდან. კრიშტიანომ კი, 4 სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო. მას „რეალში“ დარჩენა შეეძლო, მაგრამ კომფორტის ზონიდან გამოვიდა და ახალი გამოწვევები მიიღო. მესის ირგვლივ ყოველთვის იყვნენ უდიადესი ფეხბურთელები, რონალდუ კი, გუნდს პრაქტიკულად მარტო მიათრევდა...

– მიმაჩნია, რომ მარადონა უდიადესი არგენტინელი ფეხბურთელია. მესიმ არგენტინელებს შორისაც კი ვერ მოიპოვა ყველა დროის საუკეთესოს სტატუსი. თუ კარიერულ გოლებს, ჩემპიონთა ლიგის გოლებს გავითვალისწინებთ, რონალდუ წინაა. ის უკეთ თამაშობს „მეორე სართულზე“, უკეთ მუშაობს ორივე ფეხით. თუმცა, მესის აქვს მაშველი ჯადოსნური ჯოხი - მარცხენა ფეხი. კიდევ ბევრი არგუმენტი შემიძლია მოვიყვანო, იმის დასამტკიცებლად, თუ რატომაა რონალდუ ყველა დროის საუკეთესო, ხოლო მესი არგენტინის საუკეთესოთა შორის მეორე, – აცხადებს მორგანი და ცხადია, მესის ფანების რისხვის მოგერიებითაა დაკავებული.





## დემიენ დაფი: მბაპე მესისთვის ბუცებზე თასმების შეკვრის ღირსიც კი არ არის

ყოფილმა ირლანდიელმა ფეხბურთელმა დემიენ დაფმა საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი კილიან მბაპე არგენტინის ეროვნული გუნდის ლიდერ ლიონელ მესის შეადარა.



– მესი თავისი საუკეთესო ფეხბურთის დემონსტრირებას თითქმის 20 წლია ახდენს. მბაპე მისთვის ბუცებზე თასმების შეკვრის ღირსიც კი არ არის. მბაპე ჯერ ახლოსაც კი ვერ მივიდა მასთან. მესი შეუდარებელია, ძალიან მაგარია. ჩემი აზრით, ის ყველა დროის საუკეთესოა, – განაცხადა დაფმა.

## კოლო მუანი: მაკრონმა საქმის დასრულება და თასის მოგება გვთხოვა

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა რანდალ კოლო მუანიმ, რომლის გოლიც ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მაროკოს დამარცხებაში (2:0) დაეხმარა, არგენტინასთან ფინალის შესახებ ისაუბრა:

– ძალიან ვამაყობ ჩვენი გამარჯვებით, პარტნიორებით, მათი გარჯით, როგორც პირველ ტაიმში, ისე მოედანზე ჩემი გამოსვლის შემდეგ. ჯერ კარგად ვერ ვაცნობიერებ, მაგრამ სიამაყის განცდა მაქვს. უკეთესზე ვერც ვიოცნებებ. მე ჩემ პატარა ღრუბლებზე ვარ. გასახდელში ყველა ბედნიერია...

– რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქმის დასრულება და თასის მოგება გვთხოვა. არგენტინა ძლიერი გუნდია, მაგრამ მათთან სათამაშოდ ისევე უნდა მოვემზადოთ, როგორც ნებისმიერ სხვასთან. ძალზე სერიოზულად მოვემზადებით, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური კუთხით, – განაცხადა კოლო მუანიმ.



## As: რეალმა ბენზემას ფინალის წინ საფრანგეთის ნაკრებში წასვლის უფლება მისცა

### დეშამმა ფინალში ქარიმის შესაძლო თამაშზე შეკითხვას არ უპასუხა

ესპანური As-ის ინფორმაციით, მადრიდის „რეალის“ ფორვარდი ქარიმ ბენზემა შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ, საფრანგეთის ნაკრებს დაუბრუნდეს.



ცნობაში ნათქვამია, რომ ბენზემამ უკვე დასრულა იმ ტრავმისგან აღდგენა, რომლის გამოც ეროვნულ გუნდს მუნდიალზე ვერ დაეხმარა. „რეალი“ არ იქნება იმის წინააღმდეგი, თუ ფეხბურთელი კატარში გაემგზავრება და ფინალისთვის ნაკრებს შეუერთდება. ყველაფერი მის სურვილზეა დამოკიდებული.

პარალელურად RMC Sport-მა იუწყა, რომ თავად ბენზემას „რეალისთვის“ ნაკრებში გაშვება არ უთხოვია. შესაბამისად, რაიმე გადაწყვეტილება ამ კუთხით არ მიუღიათ.

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა დიდიე დეშამმა კი, ფინალში ბენზემას შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე პასუხს თავი აარიდა:

— სხვა შეკითხვაზე გადასვლას ვამჯობინებდი, — უპასუხა ჟურნალისტებს მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე.

## მიკ შუმახერი მერსედესის სარეზერვო პილოტი გახდა

ლეგენდარული მიხაელ შუმახერის შვილი მიკი ფორმულა 1-ის 2023 წლის სეზონიდან „მერსედესის“ გუნდის ღირსებას დაიცავს. იგი სარეზერვო, მესამე პილოტი იქნება.

მხარეებს შორის ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა. 23 წლის პილოტი ბრეკლიში სიმულატორზე ივარჯიშებს და 2023 წლის სეზონის განმავლობაში გუნდთან ერთად ყველა გრან-პრის დაესწრება.

— მოხარული ვარ, რომ „მერსედესის“ წევრი გავხდი და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა ამ კონკურენტურ და პროფესიონალურ გარემოში საკუთარი წვლილი შევიტანო. დიდ მადლობას ვუხდი ტოტო ვოლფს (მერსედესის შეფი. რედ.) და ყველას, ვინც კი ნდობა გამომიცხადა. ფორმულა-1 უნიკალური სამყაროა, რომელშიც მუდმივად სწავლობ. ასე რომ, მოუთმენლად ველი მეტი ცოდნის მიღებას და „მერსედესისთვის“ ძალისხმევას არ დავიშურებ, — განაცხადა მიკ შუმახერმა, რომელმაც ბოლო სეზონი „ჰაასის“ პილოტის როლში ჩაატარა. ამერიკულმა გუნდმა აღარ გაუგრძელა მას კონტრაქტი და ნიკო ჰულკენბერგით შეცვალა.

შეგახსენებთ, რომ მიკის მამა მიხაელ შუმახერი „მერსისედესში“ კარიერის ბოლოს გამოდიოდა. ამ გუნდის პილოტი იყო მიკის ბიძა რალფი და ბიძაშვილი დევიდიც. ასე რომ, „მერსედესში“ შუმახერების ისტორია გრძელდება.



## რეალმა პალმეირასიდან ენდრიკის ტრანსფერის შესახებ გამოაცხადა



მადრიდის „რეალმა“ ბრაზილიური „პალმეირასიდან“ 16 წლის ფორვარდ ენდრიკის ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. იგი გუნდს 2024 წლის ივლისში შეუერთდება.

კონტრაქტის დეტალები არ ხმაურდება. ჟურნალისტ ფაბრიციო რომანოს ინფორმაციით, გარიგება 2027 წლის ივნისამდეა გათვლილი და მხარეებს თანამშრომლობის კიდევ 3 წლით გაგრძელების ოპცია ექნებათ.

მადრიდელები ენდრიკის სანაცვლოდ 60 მილიონ ევროს გადაიხდიან და კიდევ 25 მილიონი ბონუსების სახითაა გათვალისწინებული. ენდრიკის ხელფასი „რეალში“ წელიწადში 2 მილიონი ევრო იქნება.

2022 წელს ენდრიკმა ბრაზილიის უმაღლეს ლიგაში 3 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი შეასრულა.

## საფრანგეთი-მაროკოს შემდეგ გულშემატკივართა შორის კონფლიქტს 14 წლის მოზარდი ემსხვერპლა

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთის ნაკრების გასვლას ქვეყანაში არეულობები მოჰყვა. მონპელიეში ფანებს შორის კონფლიქტს 14 წლის ბიჭის სიცოცხლე შეეწირა. დაპირისპირება ფრანგებსა და ეთნიკურ მაროკოელებს შორის მიმდინარეობს.

მანქანას, რომელშიც საფრანგეთის გულშემატკივრები ისხდნენ, მაროკოელთა ფანები მიუახლოვდნენ და დროშის წართმევას ცდილობდნენ. მძღოლი მკვეთრად დაიძრა ადგილიდან და 14 წლის ბიჭს დაეჯახა. მიღებული დაზიანებების შედეგად იგი კლინიკაში გარდაიცვალა.

ბოლო ცნობებით, საფრანგეთის პოლიციამ ქვეყნის მასშტაბით 266 ადამიანი დააკავა.

## დროგბამ და პოგბამ გრიზმანი ერთაირად შეაფასეს: ის ახლა უფრო კანტეა, ვიდრე გრიზმანი

კოტდივუარის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა დიდიე დროგბამ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში მაროკოსთან მატჩში საფრანგეთის ნაკრების ფორვარდ ანტუან გრიზმანის თამაში შეაფასა.

შეგახსენებთ, რომ გრიზმანი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

— ანტუან გრიზმანმა თავისი თამაშით გამაოცა. ის ძალზე ჭკვიანურად თამაშობს, ხოლო მისი ოსტატობა მაღალ დონეზეა. ახლა ის უფრო კანტესავით თამაშობს, ვიდრე გრიზმანივით, — აღნიშნა დროგბამ

თავისი თანაგუნდელი ერთი სიტყვით შეაფასა „სამფეროვნების“ ნახევარმცველმა პოლ პოგბამაც, რომელიც გუნდს მუნდიალზე ვერ ეხმარება: „გრიზმანიკანტე“, — დაწერა პოგბამ სოციალურ ქსელში.



## ბრაზილიელები ანჩელოტის არ ეშვებიან და 2023 წლის ივნისამდე დაელოდებიან



„გაზეტა ქსპორტივას“ ინფორმაციით, ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე კარლო ანჩელოტის დანიშვნის იმედს არ კარგავს. ეს იმის მიუხედავად, რომ იტალიელმა სპეციალისტმა ბრაზილიელებს უარი შეუთვალა და განაცხადა, რომ „რეალში“ რაც შეიძლება დიდხანს აპირებს დარჩენას.

ამის მიუხედავად, ბრაზილია ოფიციალურ წინადადებას ამზადებს და ინტენსიური მოლაპარაკებების გამართვას გეგმავს. ისინი მზად არიან, ანჩელოტის ივნისამდე დაელოდონ. იმ შემთხვევაში, თუ კარლეტო დათანხმდება, მომავალი წლის ზაფხულამდე ბრაზილიას რომელიმე ასაკობრივი ნაკრების მესაჭე დროებით ჩაიბარებს.

## ნადალმა გულშემატკივართა საყვარელი მოთამაშის პრიზი კარიერაში პირველად მიიღო



ATP-მ კაცთა ჩოგბურთში ყოველწლიური ნომინაცია ATP Awards-ის გამარჯვებულები გამოავლინა:

***წლის დაბრუნება:*** ბორნა ჩორიჩი (ხორვატია)

***წლის პროგრესი:*** კარლოს ალკარასი (ესპანეთი)

***წლის მწვრთნელი:*** ხუან კარლოს ფერერო (კარლოს ალკარასის მწვრთნელი)

***გულშემატკივრების საყვარელი მოთამაშე:*** რაფაელ ნადალი (ესპანეთი)

***არტურ ეშის სახელობის ჰუმანიტარული პრემია:*** ენდი მიურეი (ბრიტანეთი. უკრაინელთა დახმარებისთვის)

აღსანიშნავია, რომ „დიდი მუზარადის" ტურნირების 22-გზის გამარჯვებულმა ესპანელმა რაფაელ ნადალმა ATP-სგან გულშემატკივრების საყვარელი მოთამაშის ჯილდო კარიერაში პირველად მოიპოვა.

— ბედნიერი ვარ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. დიდ მადლობას გიხდით იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მთელ მსოფლიოში ყოველ ცალკეულ ქალაქში ვიღებ. ეს ბევრს ნიშნავს ჩემთვის და ამიტომაც მოუთმენლად ველი 2023 წელს, რათა კვლავ გაგიზიაროთ მრავალი დადებითი მომენტი, — განაცხადა ნადალმა.

საინტერესოა, რომ 2000 წლის შემდეგ, ეს პრიზი ნადალამდე მხოლოდ სამმა ჩოგბურთელმა მოიპოვა. შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა (19-ჯერ), რუსმა მარატ საფინმა (2-ჯერ) და ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა.

## ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელებმა ნეოფაშისტური სიმღერა შეასრულეს

ხორვატიაში ახალი სკანდალი აგორდა. ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს იმ ნეოფაშისტური სიმღერის გამო აკრიტიკებენ, რომელიც მათ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ შეასრულეს.

ბრაზილიის ნაკრების დამარცხებისა და ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, ხორვატებმა მათი ერის სადიდებელი სიმღერა შეასრულეს. დასაწყისში ეს ჩვეულებრივი პატრიოტული ტექსტია, რომელშიც ხორვატიის 5 ნაწილისადმი სიყვარულზეა საუბარი. თუმცა, მწვავე პოლიტიკური შინაარსი მეორე ნაწილში ჩნდება, როდესაც ქვეყნის არარსებული მე-6 ნაწილის, ჰერცეგ-ბოსნიას თემა შემოდის.

ჰერცეგ-ბოსნიის ხორვატთა რესპუბლიკა - სეპარატისტული წარმონაქმნი, რომელიც 1992-1994 წლებში არსებობდა ბოსნია-ჰერცოგოვინას ტერიტორიაზე. იგი ბოსნიელმა ხორვატმა სეპარატისტებმა 90-იანი წლების დასაწყისში ომის დროს დააარსეს. თვითაღიარებულ რეგიონში ბოსნიელთა და ბოსნიელ მუსულმანთა ეთნიკური წმენდა განხორციელდა. ისინი დახვრიტეს.

აღსანიშნავია, რომ სიმღერის ავტორი ულტრამემარჯვენე აქტივისტი კომპოზიტორია, ტომპსონის ფსევდონიმით. ეს ფსევდონიმი იმ ტყვიამფრქვევიდან მომდინარეობს, რომელსაც ის 90-იანი წლების ომის დროს იყენებდა.



## პერესმა რონალდუს უთხრა, რომ რეალის ბაზა მისი სახლია და რამდენ ხანსაც სურს, ივარჯიშოს

კრიშტიანო რონალდუ ფორმის შენარჩუნებას თავისი ყოფილი კლუბის, მადრიდის „რეალის" ბაზაზე განაგრძობს.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან პორტუგალიის ნაკრების გამოვარდნის შემდეგ, ფეხბურთელმა მადრიდში რამდენიმე დღის გატარება გადაწყვიტა და ვალდებების ბაზას მიაკითხა. რონალდუ პირადად დაუკავშირდა კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს, რათა „რეალის" ინფრასტრუქტურით სარგებლობის ნებართვა ეთხოვა.

პერესმა კრიშტიანოს უთხრა, რომ ვალდებებასი მისი სახლია და შეუძლია იმდენ ხანს ივარჯიშოს „რეალის" ბაზაზე, რამდენიც მოესურვება.

გუშინ, რონალდუ თავის 12 წლის ვაჟთან, კრიშტიანო უმცროსთან ერთად ვარჯიშობდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს დარჩება ის მადრიდში. მოცემულ მომენტში რონალდუ უკლუბოდაა



## დელ პოტრომ პირობა დადო, რომ არგენტინის მიერ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში, კარიერას განაახლებს

2009 წლის ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონმა, მსოფლიოს ყოფილმა მესამე ჩოგანმა არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ პირობა დადო, რომ იმ შემთხვევაში, თუ არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთს დაამარცხებს, კარიერას განაახლებს და 2023 წლის US Open-ზე თამაშს შეეცდება.



ერთ-ერთმა გამომწერმა დელ პოტროს სოციალურ ქსელში ჰკითხა: „თუ არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს, ითამაშებ გაისად US Open-ze?". „დიახ, შევთანხმდით. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ", — უპასუხა დელ პოტრომ.

34 წლის ჩოგბურთელმა კარიერა მუხლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მიმდინარე წლის თებერვალში ბუენოს აირესის ტურნირზე დაასრულა.

## დავიდ ტრეზეგე: ანრიმ მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალა, ახლა კი, ამას მბაპე აკეთებს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ ეროვნულ გუნდში მისი ყოფილი პარტნიორი ტიერი ანრი კილიან მბაპეს შეადარა.

— ისინი ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ ორივემ „მონაკოში" დაიწყო და ორივე სწრაფი ფეხბურთელია, რომელთა ამოცანა ლიდერობა და ტიტულების მოგებაა. ანრიმ მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალა და ისტორიაში შევიდა, მბაპე კი, ამას ახლა აკეთებს, — აღნიშნა ტრეზეგემ.



ISSN 2720-8079
გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru